

საინვესტიციო მიმზიდველობა აჭარის რეგიონში: შედეგები და პერსპექტივები

ცინარიძე რამინი – ასისტენტ-პროფესორი, საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის დეპარტამენტი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო

ღლონტი ვლადიმერი – პროფესორი, საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის დეპარტამენტი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო

Investment attractiveness in Adjara Region: Results and Perspectives

Tsinaridze Ramini – Assistant Professor, Department of Finance, Banking and Insurance, Shota Rustaveli State University, Batumi, Georgia

Glonti Vladimeri – Professor, Department of Finance, Banking and Insurance, Shota Rustaveli State University, Batumi, Georgia

Abstract

Introduction and aim: In contemporary scientific-practical literature it is discussed actually those theoretical-practical issues, which will help the country or its strategic region to attract foreign investments and it will create favorable investment attractiveness. It is generally known, that it's a complex issue the impact of foreign direct investment to the economic growth of developing countries and the government or academic circles have different attitude to this question, that's why it is necessary to develop recommendations for the purpose of the recipient of the country. The maximization of positive impact of the direct foreign investments on the concrete region's economy and the reduction of the negative effects. The aim of the work is to analyze the development of investment processes in Adjara Region. To estimate the attractiveness of investment environment of a region, the current state of investment in the Autonomous Republic of Adjara and determine future perspectives.

Research methodology: The information material used in the work is based on the National Statistics Office of Georgia, Ministry of Finance and Economy of Adjara, Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. In the work we have used systematic analysis, analogy, forecasting, statistical data monitoring and other methods of research.

Results and implications: The survey found that for Georgia and its strategic region (The Adjara Autonomous Republic) one of the important issues are discussing the problem of interaction of investment activities and economic growth, which leads to the development of investment markets on regions. Today there are multi-macroeconomic problems, which reflects o the development of investment attractiveness and hamper as local as foreign investors to implement their activities in our region.

Conclusion: Special attention should be paid to the development of regional investment programs of Georgia. The main purpose is to achieve and maintain the advance level of investment activities, which are necessary for stable rejuvenation, development of social sphere and providing economic growth. For investment attractiveness preparing the effective investment policy, it is necessary to define the criteria for assessing investment situation. To work out adequate methodological approaches of the economic realities and its consistent usage.

Keywords: Investment Attractiveness, Regional Investments, Direct Foreign Investments, Investment Policy.

თემის აქტუალობა. საქართველოს ეკონომიკის რეფორმების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის ეკონომიკის უმეტეს პოზიციებში ტექნოლოგიურ ჩამორჩენას, საქართველოსათვის აუცილებელია უცხოური კაპიტალი, რომელიც ქვეყნისათვის ახალი კაპიტალის, მოწინავე ტექნოლოგიებისა და მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვას შეუწყობს ხელს, აგრეთვე წაახალისებს შიდა ინვესტიციებსაც.

თანამედროვე სამეცნიერო-პრაქტიკულ ლიტერატურაში აქტიურად განიხილება ის თეორიულ-პრაქტიკული საკითხები, რომელთა პრაქტიკაში გატარება ხელს შეუწყობს ქვეყანასა თუ მის სტრატეგიულ რეგიონში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და შექმნის ხელსაყრელ საინვესტიციო მიმზიდველობას. ზოგადად ცნობილია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზეგავლენა განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე წარმოადგენს რთულ საკითხს და მმართველობით თუ აკადემიურ წრეებში იწვევს არაერთგვაროვან დამოკიდებულებას, ამიტომ აუცილებელია რეკომენდაციების შემუშავება იმ მიზნით, რომ მოხდეს რეგიონის ქვეყნის, კონკრეტული რეგიონის ეკონომიკაზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებითი ზეგავლენის მაქსიმიზება და შესაბამისად ნეგატიური შედეგების შემცირება.

დღეისათვის საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს რეგიონალური საინვესტიციო პროგრამების შემუშავებას, რომელთა ძირითად მიზნად შეიძლება მივიჩნიოთ რეგიონში საინვესტიციო საქმიანობის იმ წინასწარგანსაზღვრული დონის მიღწევა და შენარჩუნება, რომელიც აუცილებელია სტაბილური წარმოებისათვის, სოციალური სფეროს განვითარებისათვის და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისათვის. საქართველოს რეგიონებს შორის კი თავისი გეოგრაფიული არეალითა და ეკონომიკური აქტიურობით სწორედ აჭარის რეგიონი გამოირჩევა.

კვლევის მიზანი და ამოცანები. ნაშრომის მიზანია ანალიზი გაუკეთდეს აჭარის რეგიონში საინვესტიციო პროცესების განვითარებას და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს, შეფასდეს რეგიონის საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობა, შეფასდეს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ინვესტიციების არსებული მდგომარეობა, ხოლო კვლევის ამოცანაა პრაქტიკული და სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე განისაზღვროს სამომავლო პერსპექტივები, დაისახოს რეკომენდაციები ამ რეგიონის საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. ნაშრომში გამოყენებული საინფორმაციო მასალა ეყრდნობა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საინფორმაციო ბაზას. ნაშრომში გამოყენებულია არსებული კვლევების სისტემური ანალიზის, ანალოგიების, პროგნოზირების, სტატისტიკური მონაცემების მონიტორინგისა და სხვა მეთოდები.

საინვესტიციო მიმზიდველობისა და საინვესტიციო აქტივობის ერთობლიობა შეადგენს ქვეყნის, რეგიონის, დარგის, კორპორაციის საინვესტიციო გარემოს. მაგრამ საჭიროა ავსახოთ უკუკავშირიც, ე. ი. საინვესტიციო გარემოს გავლენა საინვესტიციო აქტივობაზე. მაგალითად, საინვესტიციო გარემოს მიმდინარე მდგომარეობა განსაზღვრავს ინვესტორის აზრსა და მის საქმიანობას მომავალში ინვესტიციების დანბანდებასთან დაკავშირებით. „მიმდინარე პერიოდში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება სტიმულს აძლევს დაბანდების უფლების მოსაპოვებლად ინვესტორებს შორის გამართული კონკურენციის განვითარე-


ბას, აგრეთვე, საქონლისა და მომსახურების ბაზარზე ჩამოყალიბებულ კონკურენციას, რაც ხელს უწყობს ფასების დაწევას და პროდუქციის ხარისხის ამაღლებას. ამის პარალელურად ხდება საინვესტიციო რესურსების ნაკადის შემოსვლა, რაც არსებული რესურსების უფრო რაციონალური და ეფექტური გადანაწილების შესაძლებლობას უქმნის რეგიონული განვითარების მართვის ორგანოებს.” (ქოქიაური, გვ.88)

საინვესტიციო მიმზიდველობის ფორმირება წარმოუდგენელია ოპტიმალური საინვესტიციო პოლიტიკის გარეშე. დღეს ხელისუფლების რეგიონული ორგანოების ყურადღება გამახვილებულია მიმდინარე ამოცანების გადაჭრაზე და საინვესტიციო პოლიტიკის მიზანია, ძირითადად, რეგიონის მოსახლეობის ცხოველქმედების ხელშემწყობი დარგების განვითარება, რაც გამართლებულია და ეკონომიკურად მიზანშეწონილია. თუმცა ექსპერტები აღნიშნავენ, რომ „საინვესტიციო პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებების და რეალიზაციის გეგმის შემუშავების გარეშე მნიშვნელოვნად მცირდება საბოლოო შედეგიანობა, რაზეც მეტყველებს საწარმოო მოტენციალის საფინანსო მდგომარეობა, პროდუქციის ძირითადი სახეობების წარმოების დინამიკა, სოციალური სფეროს განვითარების დონე.” (ღლონტი, გვ. 168)

აჭარის რეგიონში ინვესტიციების ზრდა აისახება ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური და ლიბერალური რეფორმებით. ამასთან აჭარის რეგიონი გეოეკონომიკური მდებარეობით, განვითარებული ინფრასტრუქტურით, ძლიერი საფინანსო სისტემით, საერთაშორისო ზრდით საკმაოდ მიმზიდველია უცხოელთათვის. 2008 წელს ჩვენს რეგიონში განხორციელებულმა ინვესტიციების საერთო მოცულობამ 130 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. აქედან 95 მილიონი დოლარი უცხოურ ინვესტიციებს, ხოლო 35 მილიონი ადგილობრივ ინვესტიციებს წარმოადგენდა.

დიაგრამა №1

ინვესტიციების განაწილება პრიორიტეტულ ჭრილში




წყარო: აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ და რადიკალურმა ეკო-ნომიკურმა რეფორმებმა დღის წესრიგში დააყენა ქვეყანაში საინვესტიციო პოლიტიკის ტრანსფორმაციისა და შესაბამისი გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამის ფორმირების საკითხი. „ამ რთული და მრავალწახნაგოვანი პრობლემის გადაწყვეტაში ერთ-ერთი საკვანძო ადგილი განეკუთვნება მთლიანად ეროვნული მეურნეობის, მისი ცალკეული რეგიონების, ქალაქებისა და კერძოდ აჭარის საკურორტო-ტურისტული მეურნეობის დაჩქარებული აღდგენა-განვითარებისათვის დიდი მოცულობის ფინანსური რესურსების მოზილიზებასა და გამოყენებას.“ (ცინარიძე, გვ. 187)

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში სახელმწიფო დაფინანსების მიზნობრიობა და პრიორიტეტულობა მეტად ეფექტურია ვიდრე წინა წლებში, რაზეც შემდეგი მონაცემები მეტყველებს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიმდინარე და დასრულებული სახელმწიფო საინვესტიციო-ინფრასტრუქტურული პროექტების პორტფელის ღირებულებითმა მოცულობამ 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – შეადგინა 248.5 მლნ. ლარი, რომლის ძირითადი ნაწილი მოდის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე - 51%, შემდეგ პოზიციაზეა წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია - 11%, შემდეგ მოდის საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია - 10%, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა - 6%, გარემოს დაცვითი ღონისძიებები - 5%, დასუფთავება და ნარჩენების მართვა - 3%, სოფლად განვითარების ხელშეწყობა - 3%, ხოლო დანარჩენი 11% მოდის სხვა ინფრასტრუქტურულ ღონისძიებებზე (იხ. დიაგრამა №1).

დიაგრამა №2

სახელმწიფო დაფინანსების წყაროების სტრუქტურა



წყარო: აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო


2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი სახელმწიფო საინვესტიციო-ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების წყაროების 81% მოდის საბიუჯეტო სისტემის სხვადასხვა დონის (სახელმწიფო,

რესპუბლიკური, ადგილობრივი) ბიუჯეტებიდან გამოყოფილ ასიგნებებზე, ხოლო 19% - საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა (აზიის განვითარების ბანკი - ADB, ევრობანკი - EBRD, მსოფლიო ბანკი WB) და სხვა ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმებზე (იხ. დიაგრამა №2).

თვით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის შიგნით სახელმწიფო საინვესტიციო-ინფრასტრუქტურული პროექტების 39% მოდის თვითმმართველ ქალაქ ბათუმზე, 31% - ქობულეთის მუნიციპალიტეტზე, 11% - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტზე, 5% - ხულოს მუნიციპალიტეტზე, 5% - ქედის მუნიციპალიტეტზე, 4% - შუახევის მუნიციპალიტეტზე, ხოლო დანარჩენი 5% მოდის საერთო რეგიონულ პროექტებზე (იხ. დიაგრამა №3).

დიაგრამა №3

ინვესტიციების განაწილება რეგიონულ კრილში



წყარო: აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

ერთი შეხედვით ჩანს, რომ ზღვისპირა ზოლი კვლავ აჭარის რეგიონის პრიორიტეტული ნაწილია, თუმცა ბოლო პერიოდში რეგიონის პრიორიტეტებში სამთო-სათხილამურო კომპლექსის მშენებლობას მიენიჭა უპირატესობა. კურორტი „გოდერძი“ ზღვის დონიდან 2200 მეტრზე, გოდერძის უღელტეხილზე მდებარეობს. კურორტს რეგიონში ყველაზე გრძელი სათხილამურო ტრასა აქვს. საბაგრო გზის ყველაზე მაღალი ადგილი აქ ზღვის დონიდან 2350 მეტრზე მდებარეობს.

კურორტ გოდერძიზე 4 ახალი სასტუმრო აშენდება. ამ ეტაპზე ექვსი პროექტი ხორციელდება, რომელთაგან ორი მიმდინარე პროცესშია, ოთხი სასტუმროს მშენებლობის საფუძვლის ჩაყრის ცერემონია კი მიმდინარე წლის 7 აგვისტოს გაიმართა. ესენია: სასტუმრო „GOLDMINE“, რომლისთვისაც 10 მლნ ლარის ოდენობის ინვესტიცია განცორციელდება. 100-ნომრიანი სასტუმროს მშენებლობაზე არანაკლებ 50 ადგილობრივი დასაქმდება, მშენებლობის პროცესი 2019 წლის შემოდგომაზე დასრულდება. სასტუმროში განთავსდება რესტორნები, კაფეები, ღია და დახურული საცურაო აუზი, ფიტნეს ცენტრი და საკონფერენციო


დარბაზი; GSP GROUP - ათი 4-ნომრიანი კოტეჯი, ორსართულიანი შენობა აიგება. პროექტისთვის 2 მლნ ლარის ინვესტიცია განხორციელდა, დასაქმდება დაახლოებით 30 ადგილობრივი. კომპლექსის მშენებლობა 2020 წლისთვის დასრულდება. შენობებში განთავსდება რესტორნები და კაფეები; 45 ნომრიანი სასტუმრო კომპლექსი “MOUNTAIN SKY”-სთვის 4 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდა, დასაქმდება 20 ადგილობრივი. მშენებლობის პროცესი 2019 წლისთვის დასრულდება. სასტუმროში განთავსდება რესტორანი, კაფე, საკონფერენციო დარბაზი და ფიტნეს ცენტრი; 30-ნომრიანი სასტუმრო კომპლექსის “ირეპალასი“ მშენებლობისთვის 2 400 000 ლარის ინვესტიცია განხორციელდა. დასაქმდება დაახლოებით 15 ადგილობრივი. მშენებლობა 2020 წლის აგვისტოში დასრულდება. განთავსდება რესტორანი, კაფე, საკონფერენციო დარბაზი და ფიტნეს ცენტრი. საერთო ჯამში ახალი ინვესტიციების საერთო რაოდენობა 80 მილიონ ლარს აჭარბებს.

სტრატეგიულად გამართლებულია პროექტი - ხულო-ზარზმის გზის რეაბილიტაცია, რომლისთვისაც 100 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება. პროექტის პირველი ეტაპი ქუვეითის ფონდის მხარდაჭერით ხორციელდება და 2018 წელს დასრულდება. ეს პროექტი არამართო საკურორტო დანიშნულების მატარებელია, არამედ მეზობელ სახელმწიფოსთან დამაკავშირებელი უმოკლესი მაგისტრალიც იქნება, რაც ჩვენი რეგიონის ტურიტულ პოტენციალს კიდევ უფრო გაზრდის.

როგორც შპს Goderdzi Resort-ის დირექტორი ზურაბ ჭურკვეიძე აცხადებს, მიმდინარე წლის დეკემბრიდან გოდერძი-ბათუმის მიმართულებით სამარშრუტო ვერტმფრენის ამოქმედდება. მისი თქმით, გოდერძი-ბათუმის რეისებს სამარშრუტოს გარდა, შესაძლოა, სამაშველო დანიშნულებაც ჰქონდეს, თუმცა საკითხზე მსჯელობა ჯერჯერობით არ დასრულებულა.

დიაგრამა №4

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განხორცილებული კერძო ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)



წყარო: აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში, კერძოდ, დამატებული ღირე-

ბულების ფორმირებასა და სამუშაო ადგილების შექმნაში, დიდი მნიშვნელობა აქვს კერძო სექტორის მიერ როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი წარმოშობის ინვესტიციების განხორციელებას და რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობის სრულყოფას 2016 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე კერძო სექტორის მიერ ჯამურად განხორციელდა 427.9 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიცია, რომლის 71% შეადგინა უცხოურმა ინვესტიციებმა (იხ.დიაგრამა №4).

ცხრილი №1


აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაკროეკონომიკური პარამეტრები

	2012	2013	2014	2015	2016
ინვესტიციების ცვლილების ტემპი (%)	2.0	28.3	41.8	32.6	17.0
ინვესტიციები მთლიან დამატებულ ღირებულებასთან მიმართებით (%)	15.0	18.0	23.9	37.9	-
ინვესტიციები მოსახლეობის ერთ სულზე (აშშ დოლარი)	386	495	697	1 087	1 270

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მაკროეკონომიკური პარამეტრები აჭარის რეგიონში. მაშინ როდესაც როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორში განხორციელებულ ინვესტიციებს უნდა ა გააჩნდეს ფისკალური, სოციალური და ეკონომიკური ეფექტიც, რაზეც ქვემოთ მოყვანილი მაჩვენებლები მეტყველებს (იხ.ცხრილი №1).

დიაგრამა №5-6



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საინვეტიციო საქმიანობის შეფასების მნიშვნელოვან ცვლადებად განიხილება ასევე განხორციელებული ინვეტიციების მოცულობა რეგიონში შექმნილ მთლიან დამატებულ ღირებულებასთან მიმართებით და მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით. ინვესტიციების მოცულობა მთლიან დამატებულ ღირებულებასთან მიმართებით ბოლო წლებში შეადგენს დაახლოებით 15-38%-ს, ხოლო რეგიონის მოსახლეობის ერთ სულზე კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციების ოდენობამ 2016 წელს შეადგინა 1 270 აშშ დოლარი (იხ. დიაგრამა №5-6).

უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის, რეგიონში საინვესტიციო მიმზიდველობის შეფასებისა და აქ განხორციელებული საინვესტიციო აქტიურობა უკეთესია გაანალიზებული იქნეს ეკონომიკის სექტორების, ქვეყნებისა და თვითმმართველი ერთეულის მიხედვით. 2016 წელს კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: ენერგეტიკა - 45%, ტურიზმი -31.6%, მშენებლობა - 20.8%, სოფლის მეურნეობა - 0.2%, მრეწველობა - 1.4%, სხვა სექტორები - 0.5%. რაც შეეხება მთლიანი ინვესტიციების სექტორულ განაწილებას, აღნიშნული თვალსაზრისით ყველაზე მსხვილი საინვესტიციო ნაკადები მოდის ენერგეტიკასა (64.5%) და ტურიზმის (33.0%) სექტორებზე.

„შუახევიჰესის“ პროექტი საქართველოს ენერგოსისტემაში ყველაზე დიდი საინვესტიციო-ინფრასტრუქტურული პროექტია ჯამური ღირებულებით 400-420 მლნ აშშ დოლარი. ეს პროექტი საქართველოში პირველი კერძო საინვესტიციო პროექტია საერთაშორისო დაფინანსებით, ისეთი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ როგორცაა: ADB (აზიის განვითარების ბანკი) EBRD (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და IFC (მსოფლიო ბანკის წევრი, განვითარებაზე ორიენტირებული ყველაზე მსხვილი საერთაშორისო ინსტიტუტი). პროექტის ფარგლებში, დასაქმებული იყო საქართველოს 730 მოქალაქე. ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამოძუშავებული ელექტროენერგია ზამთრის თვეებში ენერგოდეფიციტის დროს მთლიანად დარჩება საქართველოში.

პროექტის დასრულების შემდგომ კომპანია ყოველწლიურად მილიონობით ლარს შეიტანს ადგილობრივ ბიუჯეტში (მოგების გადასახადი - 10%, ქონების გადასახადი), რაც პირდაპირ აისახება და გააუმჯობესებს აჭარის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფას; "შუახევი ჰესის" მშენებლობა 2013 წლის შემოდგომაზე დაიწყო (ამჟამად დასრულებულია). პროექტის ფარგლებში აშენდა ორი კაშხალი, შესაბამისი წყალსაცავებით და დამბებით. "შუახევი ჰესის" გვირაბის ჯამური სიგრძე 38 კილომეტრია და ის მსოფლიოში სიგრძით მეორე ჰიდროელექტროსადგურის გვირაბია.

თურქული კომპანია „აჭარენერჯი 2007“ მდინარე ჭოროხზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობას ახორციელებს, რომელიც სამ ჰესს მოიცავს - „კირნათიჰესი“, „ხელვაჩაურიჰესი 1“ და „ხელვაჩაურიჰესი 2“.

„ხელვაჩაურიჰესი 1“ ექსპლუატაციაში 2016 წელს შევიდა, „კირნათიჰესი“ მიმდინარე წლის ბოლოს, ხოლო კასკადში შემავალი მესამე ელექტროსადგურის პროექტის „ხელვა-

ჩაური ჰესი 2“ -ის განხორციელებას კომპანია 2015 წელს დაიწყო და 2018 წელს დაასრულებს. ჰიდროელექტროსადგურების კასკადის ჯამური დადგმული სიმძლავრე 126 მგვტ-ს შეადგენს. კასკადი წლიურად 560 მლნ კვტ.საათ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. პროექტის ფარგლებში დასაქმებულია 250-მდე საქართველოს მოქალაქე, საერთო საინვესტიციო ღირებულება 200 მლნ აშშ დოლარია, საიდანაც კომპანიამ 120 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია უკვე განახორციელა.

2016 წელს აჭარას 1 526 საწოლი ადგილი შეემატა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 9%-იან ზრდას გულისხმობს. რეგიონს მიმდინარე წელს გაიხსნა ისეთი ხუთვასკვლავიანი სასტუმროები, როგორებიცაა „კასტელო მარე“ და სასტუმრო „ეიფორია“. აღნიშნული პროექტებით რეგიონში 115 მილიონი დოლარის ინვესტიცია შემოვიდა. გარდა 5 ვარსკვლავიანი სასტუმროებისა, აჭარას შეემატა საშუალო და დაბალბიუჯეტური სასტუმროებიც, როგორებიცაა „ერა პალასი“, „მარსელი“ და სასტუმრო „მგზავრები“-ს ახალი შენობა გონიოში.

რეგიონში ყოველწლიურად მზარდი სასტუმრო ინფრასტრუქტურა ნებისმიერი გემოვნებისა და ფინანსური შესაძლებლობების ტურისტზეა გათვლილი. 2016 წლის მონაცემებით, აჭარაში 348 რეგისტრირებული განთავსების ობიექტი და 18 277 საწოლი ადგილია. მათ შორისაა ისეთი მაღალი კლასის სასტუმროები როგორებიცაა „შერატონი“, „რედისონი“, „ჰილტონი“, „დივან სუიტი“, „მარინა კოლიზუმი“ და „ლეოგრანდი“. წლის ბოლომდე კი ბათუმში ორი მაღალი კლასის სასტუმროს - „პორტა ბათუმი“-სა და ყოფილი ფოსტის შენობაში სასტუმრო კომპლექსი ექსპლუატაციაში შევიდა, აღნიშნული სასტუმროები აჭარას დამატებით 500 განთავსების ადგილს შემატებს.

2016 წლის მონაცემებით რეგიონში ყველაზე მეტი მოცულობის ინვესტიციები მოდის ნორვეგია/ინდოეთსა (48.7%) და თურქეთზე (44.9%), ხოლო ტერიტორიული ერთეულების მიხედვით განხორციელებული ინვესტიციების მოცულობის გათვალისწინებით ლიდერობს თვითმმართველი ქალაქი ბათუმი (53.3%), ხულოს მუნიციპალიტეტი (17.4%) და შუახევის მუნიციპალიტეტი (17.2%).

ბოლო რამდენიმე წლის მონაცემებით, აჭარის ნომერ პირველი ინვესტორი „აჭარისწყალი ჯორჯიაა.“ სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა, რომ აჭარაში მოქმედი კომპანიებიდან, 2013-2015 წლებში განხორციელდა მსხვილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით ყველაზე მეტი ინვესტიცია „აჭარისწყალი ჯორჯიამ“ განახორციელა. აჭარაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით „ტოპ-10“ ასე გამოიყურება: შპს აჭარისწყალი ჯორჯია, შპს მედეა ოფერეითინგ კომპანი, შპს ბათუმი თაუერი, შპს დექონ შპს მერსინ ტურიზმი, შპს ქერვან ტურიზმი, სს აჭარის კურორტები, შპს დრიმლენდ ოაზისი, შპს კორომხეთი ჯორჯია, შპს აჭარა ტექსტილე.

მამასადამე, აჭარის რეგიონის პრიორიტეტები და საინვესტიციო მიმზიდველობა ამ ეტაპზეც საკმაოდ შედეგიანია და პერსპექტივაში ის ახალ სიმძლავრეებსა და პროექტებში აისახება

კვლევის შედეგები და დასკვნები. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ საქართველოს და მისი სტრატეგიული რეგიონის (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის) ეკონომიკისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს საინვესტიციო აქტივობისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთგავლენის პრობლემის განხილვა, რომელიც მნიშვნელოვნად განაპირობებს რეგიონებზე საინვესტიციო ბაზრების განვითარებას.

რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობის კვლევის აქტუალურობა განისაზღვრება, ერთის მხრივ, იმით რომ რესურსული პოტენციალის დეფიციტის პირობებში საქონელმწარმოებლებს ესაჭიროებათ ინვესტიციები, მეორეს მხრივ, კი მათ არ შეუძლიათ ამ ინვესტიციების ეფექტიანად გამოყენება საინვესტიციო საქმიანობის მართვის საფინანსო-ეკონომიკური მექანიზმის არასრულფასოვნობის გამო.

უცხოური ინვესტიციების სფეროში არსებული პრაქტიკიდან და ჩვენი რეგიონის რეალობიდან გამომდინარე, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის შესაბამისი გარემოს ფორმირება კვლავ მნიშვნელოვანია, ამასთანავე სწორი მიმართულება არ იქნება თუ ახალი წარმოების ჩამოყალიბებაში მხოლოდ უცხოური კაპიტალის იმედზე ვიქნებით. მაგრამ მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტიციების გამოყენება, როგორც განვითარების ფაქტორის – ბუნებრივი, საწარმოო და შრომითი პოტენციალის მობილიზებაში. დღეისთვის არსებობს მრავალი მაკროეკონომიკური პრობლემა, რომელიც არსებით ზეგავლენას ახდენს საინვესტიციო მიმზიდველობის განვითარებაზე და აფერხებს, როგორც ადგილობრივ ასევე უცხო ინვესტორებს საქმიანობის ჩვენს რეგიონში წამოწყებასა და განხორციელებაზე.

საინვესტიციო მიმზიდველობის, ქმედითი საინვესტიციო პოლიტიკის მომზადებისა და რეალიზებისთვის აუცილებელია აჭარის რეგიონში ეკონომიკის დარგებში ჩამოყალიბებული საინვესტიციო სიტუაციის შეფასების კრიტერიუმების ნათლად და ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა, ეკონომიკური რეალიების ადეკვატური მეთოდური აპარატის შემუშავება და მისი თანმიმდევრულად გამოყენება (აუცილებელია მზარდი ტურიზმის პირობებში სოფლის მეურნეობის დარგების ხელშეწყობა, რათა შემცირდეს ამ დარგის პროდუქტების იმპორტი ქვეყანაში).

იმისათვის, რომ რეგიონში გაიზარდოს საინვესტიციო მიმზიდველობა, აუცილებელია: შემცირდეს იმ დარგების რაოდენობა, რომლებშიც უცხოელი ინვესტორების საქმიანობა იკრძალება; გამარტივდეს ის მოთხოვნები, რომლებიც ზღუდავენ კომპანიის კაპიტალში უცხოური კაპიტალის მონაწილეობის წილს; სტაბილური და პროგნოზირებადი საკანონმდებლო პროცესი საინვესტიციო გარემოსთვის მნიშვნელოვანია, შესაბამისად, ყველა რეფორმის შესახებ, რასაც ხელისუფლება დაგეგმავს ინფორმირებული და ჩართული უნდა იყოს ყველა ის მხარე, ვისაც ცვლილებები შეეხება; სასურველია, ბიზნეს გარემოსთვის მნიშვნელოვანი კონკრეტული საკითხების რეფორმირების პროცესი ძალიან ხარგრძლივი არ იყოს, რათა სამიზნე ჯგუფებმა ადვილად დაძლიონ გარდამავალი პერიოდის და დროულად მოახდინონ ახალ რეალობასთან ადაპტაცია; ხელისუფლებამ მაქსიმალურად უნდა შეიკავოს თავი ისეთი კანონების მიღებისგან, რომლებიც ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორებს

გაუმართლებელ შეზღუდვებს უწესებს და მათ განვითარებას აფერხებს; ან კიდევ ისეთი რეგულაციების მიღებისგან, რომლებიც კონკრეტულ ბაზრებზე ზღუდავს კონკურენციას და უპირატეს მდგომარეობაში აყენებს ცალკეულ კომპანიებს.

ქართული ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვა. თანამედროვე ეკონომიკური მდგომარეობა ხასიათდება საწარმოო ინვესტირებისათვის და ეკონომიკის მოდერნიზაციისათვის აუცილებელი რესურსების მწვავე დეფიციტით. ამიტომ გრძელვადიან და არა სპეკულაციურ ინვესტიციებს აქვს დიდი მნიშვნელობა ქართული ეკონომიკის ეფექტიანი განვითარებისათვის.

ახლო პერსპექტივაში ინვესტიციების მოზიდვა, მისი განთავსების უნიკალური კომბინაციის უპირატესობა არსებითად კვლავ გადამწყვეტია ჩვენი რეგიონისათვის, ამისათვის უმნიშვნელოვანესია ბუნებრივი და ადამიანური რესურსები, ინფრასტრუქტურა, საერთაშორისო ბაზრებთან კავშირი, შექმნილი აქტივების ინოვაციური შესაძლებლობების არსებობა და ტექნოლოგიები, ფლობა იმ ფაქტორების კომპლექტისა, რომელიც გვაძლავს მოვახდინოთ ინვესტირებული ტრანსნაციონალური კომპანიის ოპტიმიზირება სამეწარმეო პროცესში და მთლიანობაში საერთაშორისო კორპორატიულ ქსელში.

აჭარის რეგიონში ინვესტიციების ზრდა აისახება ქვეყანაში მიმდინარე სტაბილური პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური პირობებით. ამასთან აჭარის რეგიონი გეოეკონომიკური მდებარეობით, ზღვისპირა ზოლში განვითარებული ინფრასტრუქტურით, ძლიერი საფინანსო სისტემით, საზღვრისპირა მდებარეობის ფაქტორით და ა. შ., საკმაოდ მიმზიდველია უცხოელთათვის.

ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა რეგიონალური ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში, კერძოდ: ენერგეტიკა, ტურიზმი, მშენებლობა, მრეწველობა, ინფრასტრუქტურა და მომსახურების სხვადასხვა სფერო. დარგებს შორის მოზიდულ ინვესტიციათა რაოდენობის მიხედვით პირველ-მეორე ადგილზეა ენერგეტიკისა და ტურიზმის სექტორი, რაც ძირითადად განპირობებულია ჩვენი რეგიონის ჰიდრორესურსებითა და ტურისტული პოტენციალით, ბოლო წლებში განხორციელებული წარმატებული საპრივატიზაციო პროცესით და უცხოელი ინვესტორების დაინტერესებით მაქსიმალურად გააუმჯობესონ და გამოიყენონ აჭარის ტურისტული პოტენციალი.

საქართველოს და მისი ცალკეული რეგიონების ეკონომიკური აღმავლობისა და სტაბილურობის ერთ-ერთი ძირითადი გარანტია ამ ეტაპისთვის არის ის, რომ მოვიზიდოთ უცხოურ ინვესტიციათა მნიშვნელოვანი რაოდენობა, რათა ქვეყანაში აღდგეს მნიშვნელოვანი ეკონომიკური დარგები, რომლებიც სასიცოცხლო მნიშვნელობის ძალას წარმოადგენენ, რათა საქართველომ ღირსეული ადგილი მოიპოვოს და დაიმკვიდროს განვითარებულ და მოწინავე ქვეყნებს შორის. მაგრამ ამისათვის აუცილებელია ქვეყნის საინვესტიციო გარემო იყოს სტაბილური და მიმზიდველი უცხოელი ინვესტორისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ევგენი, ქუთათელაძე, გვაჯაია, ყურაშვილი, „საინვესტიციო მენეჯმენტი,” თბ. 2011 წ. ;
2. ქოქიაური ლამარა, „ინვესტიციების თეორიული გენეზისი,” თბ. 2007 წ.;
3. ლავთაძე გიორგი, ჩიხლაძე ნიკო, „იმერეთის მხარის ეკონომიკური განვითარების პირობები და პერსპექტივები,” ქუთაისი, 2009 წ.
4. ლლონტი ვლადიმერი, რეგიონი(ანალიზი, შეფასება, პერსპექტივები),“ ბათუმი, 2007 წ.
5. ცინარიძე რამინ, „რეგიონული საინვესტიციო პროცესების რეგულირების საფინანსო-ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის აქტუალური საკითხები,” თბ. 2013 წ.
6. ცინარიძე რამინ, „რეგიონული საინვესტიციო პოლიტიკის სრულყოფის მიმართულებები თანამედროვე ეტაპზე,” ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა,” სექტემბერი, თბ., 2011წ.
7. www.mofea.ge - აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო;
8. <http://www.economy.ge/> - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
9. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.